სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმიN2

ქ. თბილისი **10 ივლისი 2015 წ.**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ტაბიძე

კომისიის წევრები: კახაბერ თეთრუაშვილი, ნათია ცხოიძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: ეკატერინე ირემაძე

დღის წესრიგი: სსიპ „იუსტიციის სახლი"-ს მიერ, საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, ქ. თბილისის იუსტიციის სახლში ანტრესოლების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV71320000) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2015 წლის 30 ივნისს გამოცხადებულ #1717 კონკურსში წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა.

სხდომაზე დამსწრე საკონკურსო კომისიისა და კომისიის აპარატის წევრებმა ხელწერილით დაადასტურეს კონკურსში მონაწილე პირის მიმართ ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრმა ეკატერინე ირემაძემ კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია, რომ საკონკურსო წინადადების ვადის დასრულებისთვის საკონკურსო წინადადება (დახურული კონვერტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული სახით) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ერთი კონკურსანტის - შპს „პროგრესი"-ს მიერ მიმდინარე წლის 10 ივლისის 16:55 სთ-ზე (იხ. დანართი).

განიხილეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილია "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით. კერძოდ, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტში არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი. ასეთ შემთხვევაში, ამავე წესის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საჭიროა განხორციელდეს შპს „პროგრესი"-ს დისკვალიფიკაცია კონკურსის პროცედურიდან.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, რადგან კონკურსში არ მონაწილეობდა სხვა პირი, კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

კომისიამ დაადგინა:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს „პროგრესი"-ს დისკვალიფიკაცია კონკურსის პროცედურიდან.
2. კონკურსი დასრულდეს უარყოფითი შედეგით.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული დოკუმენტების გადაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, მათი გამოქვეყნების მიზნით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი ტაბიძე

კომისიის წევრები:

კახაბერ თეთრუაშვილი

ნათია ცხოიძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი:

ეკატერინე ირემაძე

ხელწერილი

ქ. თბილისი

10 ივლისი 2015წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ „იუსტიციის სახლი“-ს მიერ, საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, ქ. თბილისის იუსტიციის სახლში ანტრესოლების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV71320000) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2015 წლის 30 ივნისს გამოცხადებულ #1717 კონკურსში მონაწილე პირის - შპს „პროგრესი“-ს მიმართ ინტერესთა კონფლიქტი არ გააჩნიათ.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი ტაბიძე

კომისიის წევრები:

კახაბერ თეთრუაშვილი

ნათია ცხოიძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი:

ეკატერინე ირემაძე

#1717 კონკურსში წარმოდგენილი წინადადებების აღრიცხვა

#	ორგანიზაციის დასახელება	წინადადების წარმოდგენის თარიღი	წინადადების წარმოდგენის დრო	ხელმოწერა
1	შპს „პროგრესი"	2015 წლის 10 ივლისი	16 სთ 55 წთ.	[illegible]
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				